დადგენილება №42/2024 სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებისა და სადოქტორო პროგრამების აღწერილობების განახლებული ვერსიების დამტკიცების შესახებ

დადგენილება № 42/2024
თარიღი: 26 დეკემბერი, 2024 წელი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ლ“ და „ს“ ქვეპუნქტების, 28–ე მუხლის „ე“ პუქნტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი, მე–3, მე–6 და მე–7 ნაწილების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ და „წ“ ქვეპუნქტების, კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის 2024 წლის 25 დეკემბრის №928 მოხსენებითი ბარათის (თან ერთვის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი #9, 23.12.2024 წ.), კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის 2024 წლის 25 დეკემბრის № 926 მოხსენებითი ბარათის (თან ერთვის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის 2024 წლის 23 დეკემბრის № 10 სხდომის ოქმი) და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 26 დეკემბრის № 17 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება და სადოქტორო პროგრამების აღწერილობების განახლებული ვერსიები თანდართული დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე დადგენილების 1–ლი პუნქტიდან გამომდინარე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 აპრილის #28/2023 დადგენილება.

3.დადგენილება გადაეგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ორივე ფაკულტეტის დეკანს, ორივე ფაკულტეტის პროგრამებისა და მიმართულებათა ხელმძღვანელებს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, სასწავლო დეპარტამენტს, სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტს;
4.დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №64).

6. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი